ეკრანს მიღმა: "კიბერდადევნება" გენდერულ ჭრილში

ლიზი ბარამიძე, თათა ტყეშელაშვილი

რედაქტორი: მანანა ხაჩიძე

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება თანამედროვე ეპოქაში ფართოდ გავრცელებულ კიბერდანაშაულსა და გენდერს შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთობას, რომელიც გამოიხატება ერთ დიდ პრობლემაში, სახელად "კიბერდადევნება" (Cyberstalking). კიბერდადევნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გამოცდილებისა და მისი რეალური, ყოველდღიური ზემოქმედების გამოკვლევით, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ისეთ საკითხებს გარშემო მსჯელობას, როგორიცაა გენდერის გავლენა პირის მსხერპლად არჩევის პროცესზე, "კიბერდადევნება" ს პრობლემის დაძლევისა და აღმოფხვრის სტრატეგიებზე და მის შესატყვის სამართლებრივ გადაჭრის გზებზე ციფრულ სფეროში.

როგორც სასამართლო პრაქტიკის, ისევე სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, ჩვენ გამოვავლენთ იმ გზებს, რომლითაც გენდერზე დაფუძნებულმა ამ პრობლემამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდების ემოციურ სტაბილურობაზე. კიბერდადევნების გენდერულ ასპექტებზე ფოკუსირებით, კვლევის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ციფრული ძალადობის შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და ინტერვენციების შემუშავებას. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ კიბერდადევნების გენდერული რეალობა და მხარი დავუჭიროთ უფრო ინკლუზიურ მიდგომებს ონლაინ უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მიმართ.

შესავალი

ეპოქათა ცვლილების შედეგად საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია სრულიად ახალი სივრცის - კიბერსფეროს - ჩამოყალიბება. თუმცა კაცობრიობის ეს მიღწევა უარყოფითი შედეგების მომტანიცაა, რადგან დანაშაულების მასშტაბი რეალობიდან ციფრულ სივრცემდე გაიზარდა, სადაც გაცილებით უფრო მარტივია თავი აარიდო პასუხისმგებლობას. მოცეული პრობლემა პირდაპირაა დაკავშირებული გენდერთან, ვინაიდან მსხვერპლის შერჩევა დამნაშავის მიერ ხდება გენდერის მიხედვით. ერთ-ერთი ამ დანაშაულთაგანი არის კიბერდადევნება, რომელიც, ერთი შეხედვით, შესაძლოა უწყინარ ქმედებად, რომელიც არ შეიცავს არსებით საფრთხეს, თუმცა ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ თუ რატომ არის ეს ქმედება საზიანო და როგორ უკავშირდება მოცემული პრობლემა მსხვერპლის გენდერულ კუთვნილობას.

განმარტება

სტალკინგი

ადამიანთა მიერ დაწყებული ტექნოლოგიური განვითარება როგორც სარგებლის, ისევე ზიანის მომტანიც კი შეიძლება გახდეს ეკრანს მიღმა მყოფთათვის. ერთ-ერთი ასეთი ციფრული პრობლემაა კიბერდადევნება. თუმცა მანამ სანამ კონკრეტულ ქცევას განვიხილავთ, საჭიროა მისი ისტორიული საწყისის - სტალკინგის (იმავე ადევნების) განმარტება. ზოგადად, თუკი ჩავუღრმავდებით სტალკინგის ეტიმოლოგიურ ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ ეს ინგლისური სიტყვა რამდენიმე ვარიაციით წარგვიდგება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი კი ამ მომენტისთვის არის საშუალო ინგლისური ენაზე სიტყვა "stalken", რომელიც აღნიშნავს "ფრთხილად, ნაზად, ჩუმად სიარულს", რითაც ლოგიკური ხდება ამ

სიტყვის დღევანდელი განმარტება : დადევნება შეიძლება განიმარტოს როგორც ადევნება, თვალთვალი ერთი პიროვნების მხრიდან მეორე პიროვნებაზე, რომელიც სტალკერს, ე.ი ამდევნებელს, მოთვალთვალეს, შერჩეული ჰყავს სპეციფიკური მახასიათებლების, ნიშნების და ა.შ. მიხედვით.

ხშირ შემთხვევაში ამ დანაშაულის მსხვერპლნი ხდებიან მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, ამრიგად ეს დანაშაული ცალსახადაა დაკავშირებული გენდერთან. თუმცა ეს საფრთხე რეალურია და მისგან დაცული არავინ არ არის. სტალკინგის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, ხოლო ის გავლენა, რომელიც განმეორებადმა თავდასხმებმა შესაძლოა მიაყენოს პირის ფსიქიკურ ჯანმრთელობას ინტენსიური და ხანგრძლივია.

"კიბერდადევნება"

დადევნების პრობლემური ფორმაა "კიბერდადევნება", რომელიც აგრეთვე შესაძლოა დავუკავშიროთ კიბერბულინგს. კიბერმდევარის "ფუნქცია" ასევე უფრო მეტად მარტივია, ვიდრე ჩვეულებრივი მდევარის - ზემოთხსენებულს შეუძლია როგორც გამოაქვეყნოს პოსტები, ისევე გააგზავნოს შეტყობინებები, გამოიყენოს ჰაკერული/კრაკერული ძალები, დააყენოს კამერები (ეს შეიძლება კომპიუტერზე ონლაინ წვდომის მეშვეობითაც მოხდეს) შერჩეული სუბიექტის საწინააღმდეგოდ ისე, რომ ნიღაბი არ ჩამოიხსნას და დარჩეს ანონიმური, მიუხედავად იმისა, იგი უცნობია სუბიექტისათვის თუ შეიძლება საერთოდაც უახლოესი ნათესავია.

კიბერდადევნებას მრავალი სახე აქვს და კიბერმდევარის მთავარი მოტივაცია დაშინებასთან ერთად, კონტაქტის დამყარება და ურთიერთობის გაბმაა მსხვერპლთან. ამ პრობლემის გამწვავებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ინტერნეტ-სივრცე ცალკე სამყარო გახდა, სადაც ადამიანები სრულიად უცხო პიროვნებებს იცნობენ და, არც თუ ისე იშვიათ შემთხვევაში, ეს ურთიერთობის გაჩენის ერთადერთი გზაც კი არის მათთვის.

როგორც წესი მსხვერპლზე კონტროლის დაწესებას ცდილობენ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქცევებით. ან შეიძლება, თვითონ პიროვნებას აშანტაჟებდნენ ამ გზით - მსხვერპლზე არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით. ეს დღევანდელობაში მეტად დიდი და თითქმის გადაუჭრელი პრობლემაც კი არის, რაც, უმეტეს შემთხვევაში, მასზე სამართალდამცავების მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ რეაგირების შედეგია.

კიბერდადევნების სამართლებრივი ჩარჩო

ევროკავშირის მიდგომა კიბერდადევნებისადმი

"კიბერდადევნება" არის ელექტრონული საკომუნიკაციო მოწყობილობების მეშვეობით ერთი ან რამდენიმე მსხვერპლის იმ დონეზე დაშინება ან შევიწროვება, რომ შესაძლებელია პირისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ევროპული მიდგომით, ხშირ შემთხვევაში ეს არის გენდერზე დაფუძნებული დანაშაული, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლა მსხვერპლის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

2012 წელს FRA –ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები კიბერდადევნებაზე განიხილებოდა ქალთა მიმართ ძალადობის ჭრილში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კიბედადევნების აქტუალურობაზე ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. ამ გამოკთხვაზე

დაყრდნობით ევროკავშირში მცხოვრებ ქალთა 5%-ს 15 წლის ასაკიდან ჰქონდა შეხება კიბესრტალკინგის ერთ ან რამოდენიმე ფორმასთან, ხოლო 2% მა გამოსცადა ეს მონაცემთა შეკრებამდე 12 თვით ადრე. აღსანიშნავია, რომ კიბერდადევნების შემთხვევები პროცენტულად უფრო მეტია დაბალ ასაკობრივ კატეგორიებში.

"ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია გამოჰყოფს დადევნებას, როგორც ცალკეულ დანაშაულს, კერძოდ მისი 34-ე მუხლის მიხედვით:

"მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან ევროკავშირს აქვს ახალი რეგულაცია, რომელიც აკისრებს მთელ რიგ პასუხისმგებლობებს ონლაინ პლატფორმებს, როგორიცაა, მაგალითად "Meta", უკანონო კონტენტის, მათ შორის "კიბერდადევნების", იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. ციფრული სერვისების აქტი („DSA") მიზნად ისახავს უზრუნველჰყოს ევროკავშირში ჰარმონიზებული, ანუ ერთმანეთთან თანმხვედრი, კანონმდებლოს შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს „უსაფრთხო, პროგნოზირებადი და სანდო ონლაინ გარემოს", ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი კიბერდადევნების შემდგომი რეგულირებისათვის, რადგან საშუალებას იძლევა არსებითად შეზღუდოს კიბერსტალკერის მიერ ცალკეული ქმედებების განხორციელება, რომლებიც იწვევს მსხვერპლ(ებ)სა და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა სამიზნეებისთვის, როგორიცაა მსხვერპლის მეგობრული, ოჯახური ან სამუშაო გარემო შეწუხებასა ან შევიწროებას.

"კიბერდადევნება" საქართველოში

"კიბერდადევნება" , როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული არ არის ცალკეულად გამოყოფილი საქართველოს კანონმდებლობაში. თუმცა, ვინაიდან 2017 წელს საქართველომ "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კოვენციის რატიფიცირება მოახდინა, მისი 34-ე მუხლი მოიცავს მოცემულ დანაშაულსაც. "სტალკინგი" საქართველოს კანონმდებლობით მოაზრება ტერმინით "ადევნება", ხოლო ადევნება შესაძლოა განხორციელდეს კიბერდადევნების ფორმით.

აღსანიშნავია, რომ „სტამბოლოს კონვენციის" 34-ე მუხლი ადევნებას აკვალიფიცირებს, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებულ დანაშაულს, ვინაიდან მას ქალთა მიმართ ძალადობის ფორმად აცხადებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ადევნების მსხვერპლები, ხშირ შემთხვევაში არიან ქალები.

ამის მიუხედავად, ქართული კანონმდებლობა ამ კუთხით გენდერულად ნეიტრალურია და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის დაცვის სუბიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, როგორც ქალი ისე მამაკაცი.

ადევნების მსხვერპლისთვის დამახასიათებელმა უარყოფით შედეგებმა, როგორიცაა ემოციური სტრესი და ცხოვრების წესის შეცვლის საჭიროება შესაძლოა თავი იჩინოს კიბესრალკინგის შემთხვევებშიც, ამასთანავე, ფიზიკურ სამყაროსთან შედარებით

ციფრული საშუალებებით არასასურველი კონტაქტისა და თვალთვალის უწყვეტად მიმდინარეობის გაცილებით უფრო დიდი შანსია, რაც უფრო ამწვავებს ქმედების სიმძმეს. ამიტომ საქართველოში კიბერტალკინგისა და სხვა ციფრული დანაშაულების გამოყოფილად კრიმინალიზაცია დადებითი შედეგის მომტანი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის ამაღლებისათვის.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ მოცემული ნაშრომი, ჩვენ განვიხილეთ კიბერდადევნების რეგულირების საკითხი სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეში. განხილული პრობლემა თანამედროვე გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია მსხვერპლის გენდერთან მიმართებით. იმისათვის, რომ ამაღლდეს ცნობიერება კიბედადევნების, შემთხვევებზე, მოცემული საკითხი ძირფესვიანად უნდა იქნეს შესწავლილი სხვადასხვა სფეროს ექსპერტების, მათ შორის ფსიქოლოგების, სოციოლოგების, სამართლის სპეციალისტების, მხრიდან და ამაზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს შესაფერისი ნორმატიული ჩარჩო.

ლიტერატურა

1. online etymology dictionary https://www.etymonline.com/word/stalk?fbclid=IwAR3TL9CDCI4bLGnHg-R757N1AMsaOOt2nE3hPF439_sUgLsHPpe0BppH_rs
2. Tjaden, P., Thoennes, N., & Allison, C. J. (2002). Comparing stalking victimization from legal and victim perspectives. In K. E. Davis, I. H. Frieze, & R. D. Maiuro (Eds.), Stalking: Perspectives on victims and perpetrators (pp. 9–30). Springer Publishing Company.
3. Pittaro, M. L. (2007). Cyber stalking: An Analysis of Online Harassment and Intimidation. International Journal of Cyber Criminology, 1(2), 180–197.
4. FRA DIGNITY Violence against women: an EU-wide survey Main results, 87
5. "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" კონვენციის 34-ე მუხლი
6. Regulation (EU) 2022/2065 of the European Parliament and of the Council of 19 October 2022 on a Single Market For Digital Services and amending Directive 2000/31/EC (Digital Services Act) OJ L 277, 27.10.2022, p. 1–102.) Article 1(1) DSA
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151^1 მუხლი